

ნარგიზ ახვლედიანი, ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში დადასტურებული რამდენიმე ქართული გეოგრაფიული  
სახელწოდების გარკვევისათვის

საკვლევ თემად წარმოვადგენთ თურქეთის რეჯეფ თაიფ ერდოღანის სახელობის სახელმწიფო არქივში დაცულ დოკუმენტებში დაფიქსირებულ რამდენიმე ქართულ გეოგრაფიულ სახელს და დავსვამთ მოცემულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა გარკვევის საკითხს. ჩვენი კვლევის მიზანია საარქივო მასალებში დაცული ქართული ტოპონიმების გარკვევა. საკითხი საინტერესოა იმდენად, რამდენაც იგი პირველად ქვეყნდება. საკვლევი თემა აქტუალურია ჩვენი ქვეყნის ისტორიის, მისი წარსულისა და თანამედროვეობის გარკვევისათვის. საამისოდ საინტერესო მასალას გვაწვდის, მეზობელი თურქეთის სახელმწიფოს არქივში დაცული მასალები, სახელდობრ, წერილობითი წყაროები, რომელიც საქართველოს ისტორიას, მის წარსულს და ამდენად მომავალსაც ეხება. იგი მნიშვნელოვანი შენაძენია, ზოგადად, ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევებისათვის და მას სპეციფიკური მიდგომა და დარგის შესაბამისი მკვლევრების მიერ განხორციელებული კვლევა-ძიება სჭირდება. მოწოდებული საარქივო მასალა, ოსმალურიდან თარგმნა, თანაავტორმა, ფილოლოგიის დოქტორმა -ალ.კაშიამ. კვლევისთვის ვიყენებთ ისტორიულ-შედარებით მეთოდს. საჭიროებისამებრ, წარმოვადგენთ მოცემულ ტოპონიმთა ლინგვისტურ ანალიზს. ავხსნით მათ ეტიმოლოგიასა და სახელდების მოტივაციას. საკვლევი თემა ახალია და ჯერ აკადემიურ სამეცნიერო წრეებში განსახილველად არ წარმოდგენილა. ქართველ ერს მდიდარი და მძიმე ისტორიული წარსული აქვს. ქართველი ერის ისტორიული წარსულის აღდგენა ქართული და უცხოური საისტორიო წყაროებით, მატერიალური და სულიერი კულტურის მონაცემებით ხდება (იქვე: 2016). „ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავის წარსულის საზოგადოების ცხოვრების ისტორია... უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი... გაზვიადებულ ადვოკატურ ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის უნდა ჰგრძნობდეს, ვინც წარსულში ეძებს ხსნას. ხოლო ამგვარი სურვილი აზრდაც არ უნდა მოუვიდეს იმ ეროვნების წარმომადგენელს, რომელიც სიცოცხლესა და მოქმედებაზე ფიქრობს“ - წერდა ივანე ჯავახიშვილი. (იქვე:, 2016:27).

ივანე ჯავახიშვილამდე წარსულის თითქმის ყველა ძეგლი უტყუარ და ჭეშმარიტ წყაროდ ცხადდებოდა. საქართველოს მეცნიერული შესწავლა - წერდა სიმონ ჯანაშია - წყაროების პირუთვნელი, მაგრამ სასტიკი კრიტიკით უნდა დაწყებულიყო. ივანე ჯავახიშვილი მეცნიერული კრიტიკით იხილავდა მანამდე უდავო ჭეშმარიტებად აღიარებულ ფაქტებს და უარყოფდა მთელი რიგი წყაროების ცნობებს... ეს იყო მეტად

მნიშვნელოვანი და იმ დროისათვის გაბედული ნაბიჯიც. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე გეოგრაფიულ სახელს, დადასტურებულს ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, რომლებიც რეჟეფ თაიფ ერდოღანის სახელობის თურქეთის სახელმწიფო არქივშია დაცული. ასე, მაგალითად, „მარავიდე“- (შდრ.:მარადიდი - სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში), „ჩაქო“- (შდრ.: ჩაქვი - დაბა ქობულეთის მუნიციპალიტეტში), „კაჰაბირი“- (შდრ.: კაჰაბირი - სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში). თუმცა, გვაქვს გამონაკლისიც, როცა გეოგრაფიული სახელი შენარჩუნებული არის უცვლელი სახით, ასე მაგალითად, „შეკვეთილი“ - (შდრ.: შეკვეთილი - სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში). ასეთია ჩვენი მოხსენების მცირე თეზისი, რომელშიც დასმულია ოსმალურ საარქივო მასალებში დადასტურებული რამდენიმე ქართული ტოპონიმის საკითხის გარკვევის მცდელობა.

Nargiz Akhvlediani, Niko Berdzenishvili Institute

#### Several Georgian Geographical Names Confirmed In Ottoman Archival Materials

The topic of our survey concerns the etymology of several Georgian geographical names mentioned and protected in archival materials of the Presidential Library (Turkey), which was officially inaugurated by President Recep Tayyip Erdoğan. The aim of this survey is to explore Georgian toponyms used in the archival materials mentioned above. This topic is relevant for the history of our country - its past and future. Archival materials of the Turkish Presidential Library about the present, past and future of Georgia were used to conduct this research. This study is important for historical and etymological research and, as one would expect, qualified professionals with specific knowledge took part in it. Archival Materials from the Ottoman language into Georgian were translated by Professor of Philology, Aleko Kashia. Historical- comparative method was used to carry out a survey. If necessary, the linguistic analysis of the toponyms will be presented.

The topic of this research is new to the academic and scientific circles and it has not been studied yet. “Georgians have a complex and diverse history, which can be revived by studying and exploring foreign and national historical documents” (Lortkipanidze M., 2016). Every historical discovery and evidence was considered as a trustworthy and veritable source before Ivane Javakhishvili, who often criticized and rejected those discoveries, which was a really daring step from his side.

To illustrate, we will provide some geographical names confirmed in the Ottoman archival documents preserved in the National Archives of Turkey: ‘Maravide’ (Maradidi – a village in Khelvachauri Municipality), “Chaço” (Chakvi - part of Kobuleti Municipality); ‘Kahabiri’ (Kakhaberi – a village in Khelvachauri Municipality). However, we have an exception - when a geographical name has not changed; for example: ‘Shekvetili’ (Shekvetili – a village in Ozurgeti Municipality).

The report is an attempt to clarify the issue of some Georgian toponyms confirmed in the Ottoman archival materials.